

ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის III კონფერენცია

ჰერალდიკა და ისტორიული წყაროები

**მოხსენებათა თეზისები**

The III Heraldic and Vexillological Conference

Heraldry and historical sources

**Abstracts of Papers**

თბილისი • Tbilisi  
2023



საქართველოს პარლამენტთან არსებული  
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
THE STATE COUNCIL OF HERALDRY AT THE  
PARLIAMENT OF GEORGIA



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
IVANE JAVAKHISHVILI  
TBILISI STATE UNIVERSITY

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი Organizing Committee of the Conference

მამუკა გონგაძე, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე  
Mamuka Gongadze, Chairperson of the State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

მამუკა წურნუშია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Mamuka Tsurtsumia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნანი გელოვანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Nani Gelovani, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თორნიკე ასათიანი, „ჰერალდიკის, ვექსილოლოგიისა და სიმბოლიკის კვლევის ცენტრის“ საბჭოს წევრი  
Tornike Asatiani, Member of the Board of the Research Center of Heraldry, Vexillology and Symbolism

ვიქტორია სარჯველაძე, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
Victoria Sarjveladze, The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

მაია ლომაძე, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
Maia Lomadze, The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

თამარ კორაშვილი, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
Tamar Korashvili, The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

მიხეილ მირზიაშვილი, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
Mikheil Mirziashvili, The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

Mikheil Mirziashvili, The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

## წინასიტყვაობა

საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის, ასევე მუნიციპალური სიმბოლოები სათავეს იღებენ ისტორიული წყაროებიდან; მათ შორისაა ისტორიული საზღვაო რუკები - პორტოლანები, რომელზეც საქართველო, ასევე მისი ისტორიული მხარეები, სამთავროები, სხვადასხვა ვექსილოლოგიური და ჰერალდიკური სიმბოლოებითაა გამოსახული. 2023 წლის 15-17 სექტემბერს, კონფერენცია კრებს სამამულო და საერთაშორისო ექსპერტებს, რათა ჩვენი ქვეყნისა თუ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვიმსჯელოთ ისტორიული წყაროების გავლენასა და მნიშვნელობაზე ზოგადად, ჰერალდიკასა და ვექსილოლოგიაზე, და კერძოდ, თანამედროვე სიმბოლოების შემუშავების პროცესზე. კონფერენცია ორგანიზებულია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და მხარდაჭერილია „ჰერალდიკის, ვექსილოლოგიისა და სიმბოლიკის კვლევითი ცენტრის“ მიერ.

## Introduction

The state symbols of Georgia, having them national or local self-government status, originate from historical sources; Among them are historical nautical charts – portolans, on which Georgia, as well as its historical parts, are depicted with various vexillological and heraldic symbols. On September 15-17, 2023, the conference will gather distinguished experts, Georgian and International, to discuss, based on Georgia's and international experience, the influence and importance of historical sources on the development of modern symbols, heraldry and vexillology. The conference is organized by the State Council of Heraldry and Ivane Javakishvili Tbilisi State University and is supported by the Heraldry, Vexillology and Symbolism Research Center.

### ისტორიული წყაროები (პორტოლანები) სახელმწიფო სიმბოლოების დადგენის პროცესში


საქართველო მაგალითია იმისა თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე სახელმწიფო სიმბოლოების შემუშავებისათვის ისტორიული წყაროების მოძიება და კვლევა. საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივი, სახელმწიფო მნიშვნელობისა და მუნიციპალური სიმბოლოების ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური საფუძველი სწორედ ისტორიულ წყაროებს, მათ კვლევასა და ანალიზს ეყრდნობა. ეს პროცესი არ დასრულებულა და ფართო სამეცნიერო-საექსპერტო ჩართულობას მოითხოვს.

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვალდაკვალ აღდგა პირველი რესპუბლიკის (1918-21) კონსტიტუცია და რესპუბლიკის სიმბოლოები: ჰიმნი, დროშა, გერბი (მცირე სახეცვლილებით). მაშინ, საზოგადო სურვილს, სახელმწიფო სიმბოლოებში ასახულიყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა, ზღუდავდა საკმარისი ფაქტობრივი მასალისა და კვლევების არარსებობა. საბჭოთა რეჟიმში ფაქტობრივად აკრძალული იყო საქართველოს ისტორიული სახელმწიფო სიმბოლოების ძიება-ანალიზი. საბჭოთა კავშირში გავრცელებული იყო საბჭოთა სიმბოლოების იერარქიული სისტემა. ტერიტორიების მოწყობის სხვადასხვა დონეზე მორგებული იყო ერთიანი საბჭოთა სიმბოლიკა: ნამგალი და ურო, მცირე „ეროვნული“ მინიშნებებით. აკრძალვის მიზანიც ეს იყო, საბჭოთა სიმბოლოები საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში უალტერნატივოდ უნდა დარჩენილიყო.

ქართული სახელმწიფო სიმბოლიკა, ჰერალდიკა და ვექსილოლოგია ქვეყნის განვითარების ეტაპების შესაბამისად ვითარდებოდა. ამ განვითარებაში განსაკუთრებული ეტაპი იყო ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა და იქ დაცულ ისტორიულ მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. დღევანდელი სახელმწიფო დროშის ვიზუალური მასალა სწორედ საზღვაო რუკა - პორტოლანია. მოძიებული და საქართველოში ჩამოტანილი იქნა ათამდე პორტოლანი, მათ შორის 90-იან წლებში სლავების სახით, ხოლო შემდგომ მაღალი რეზოლუციების ფაილები.

კვლევა, წერილობითი და სხვადასხვა ვიზუალური წყაროების მოძიება გრძელდება. გამოჩნდა თანამედროვე ხუთჯვრიანი დროშის წინამორბედი ჩვენი შორეული წინაპრების ხელში. გასული წელი იყო უმნიშვნელოვანესი რადგან

მოძიებული იქნა დავით მეოთხის მონეტა რომელიც მანამდე ითვლებოდა უნიკუმად (მისი ოდნავ განსხვავებულ ვერსია დაცული იყო ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმში). ჩვენი ჰერალდიკის, ვექსილოლოგიის, ფალერისტიკის, ნუმიზმატიკისა და სხვა თანმდევი



დარგების განვითარება პირდაპირ კავშირშია წყაროების მოძიებასთან, მათ ანალიზთან და თანამედროვე სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებად დადგენასთან.

**Mamuka Gongadze**

Chairperson of the State Council of Heraldry  
at the Parliament of Georgia

### **Historical sources (Portolans) in the Process of State Symbols Determination**

Georgia is an example of how important it is to develop modern state symbols and find and research historical sources. The heraldic and vexillological bases of Georgia's national and municipal symbols are historical sources, their research, and analysis. Creating new symbols still needs to be completed and requires the active involvement of scholars.

Following the restoration of Georgia's independence declared on April 9, 1991, the constitution of the first republic (1918-21) and the state symbols: anthem, flag, and coat of arms (in a slightly modified form) of the democratic republic were restored. At that time, the public desire to reflect the centuries-old statehood of Georgia in state symbols was limited by the lack of sufficient factual material and relevant research papers.

The Soviet regime prohibited research of historical state symbols of Georgia. The hierarchical system of Soviet symbols was dominated throughout the Soviet Union; everywhere, at different levels of the territorial arrangement of the state, uniform Soviet symbols, the hammer and sickle, with minor "ethnic" shades, were imposed; this was the purpose of the ban, the Soviet symbols had to remain uncontested in the minds of the Soviet citizen.

State symbols, heraldry, and vexillology in Georgia are developed pro rata with the country's development; a particular stage in this development was the cooperation with our partners from the west and the opportunity we gained to access the historical sources preserved. Nautical charts - portolans are the actual, visual basis and historical source for the modern state flag of Georgia. Ten portolans were discovered and brought to Georgia in the form of slides in the 90s and later in a format of high-resolution files.

Research and the process of discovering hitherto unknown historical visual sources are continuing; more and more sources are obtained and the predecessor of the modern five-cross state flag appeared in the hands of our distant ancestors. Last year was the most important due to the discovery of the coin of David IV, which until then was considered unique (a slightly different version of it is preserved in the British National Museum). The development of heraldry, vexillology, phaleristics, numismatics, and other branches of science in our country directly relates to the search for sources, their analysis, and their establishment as modern state symbols.

## ისტორია და ჰერალდიკა — ისტორიული ზეგავლენა შოტლანდიის გერბებზე

შოტლანდიურ ჰერალდიკაში საგერბე ფიგურების შერჩევას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გვარს. წინამდებარე ნარკვევი იკვლევს თუ რა გავლენა იქონია ადრეულმა ჰერალდიკურმა ფიგურებმა ერთნაირი გვარის მქონე პიროვნებების გერბებზე საუკუნეთა განმავლობაში, თვით XXI საუკუნეშიც კი. ადგილობრივი ლორდების ვასალები ხშირად იყენებდნენ იდენტურ ძირითად ფიგურებს თავიანთი გერბებისთვის, მაშინაც კი როცა მათი გვარები



განსხვავდებოდა. ფეოდალური ურთიერთობებიდან მომდინარე სამი საგერბე ფარია განხილული, რათა წარმოჩნდეს თუ რა გავლენა გააჩნდა ფიგურებს სუზერენის კუთვნილი გერბიდან. ასეთი ფიგურების ნიმუშებია: სამეფო ხელისუფლებისგან ბოძებული ორმაგი არშია, ანანდალეს ვასალების წმ. ანდრიას ჯვარი სარტყელი და ჰერალდიკური თავი, დაბოლოს, მორავიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ შოტლანდიაში გადმოტანილი ვარსკვლავის გამოსახულება.

ნაშრომის მეორე ნაწილში განვიხილავთ, თუ როგორ არის ისტორიული არტეფაქტები ჩართული თანამედროვე გერბებში, ბანოკბურნის ბრძოლაში გამოყენებული კალტროპებიდან თუ საფოსტო მარკების ხაზოვანი მოტივებიდან დაწყებული, ე.წ. ბედისწერის ქვის გამოსახულებამდე.

**Elizabeth Roads**  
LVO, AIH

### History and Heraldry – historical influences on Scottish coats of arms

In Scots heraldry it has long been the case that surname is relevant to the choice of charge. This paper will look at how the earliest known charges have influenced the arms of people of the same name over the succeeding centuries and still do in the 21st century. The arms of vassals of territorial overlords frequently took the same basic charges even though the surname was different. Three feudally derived shields will be examined to show how the devices influenced those dependent on the overlord – the double tressure awarded by the Crown, the saltire and chief of Annandale vassals and the stars found in coats stemming from Moravia in the north east of Scotland.

The second section of the paper will examine how historical artefacts have been incorporated into more modern coats of arms, from caltraps used at the Battle of Bannockburn, line variation taken from postage stamps to a representation of the Stone of Destiny.

### **პორტოლანები: კარიბჭე ჰერალდიკურსა და ვექსილოლოგიურ წარსულში**

როდესაც ვსაუბრობთ ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ ცნობებზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ პორტოლანი სულაც არ არის უნაკლო წყარო. სივრცის ნაკლებობა ხშირად აიძულებდა კარტოგრაფებს, გამოესახათ გერბი ან დროშა შეკვეცილად. დროთა განმავლობაში პიგმენტები ქრებოდა ან იცვლიდა თავდაპირველ ფერს, შედეგად კი რთულდებოდა ნახატის გარჩევა და ზუსტი აღქმა. გარდა მატერიალური ფაქტორებისა, იყო ადამიანურიც: კარტოგრაფები ხშირად არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას ან ჰქონდათ სუბიექტური მიზეზებიც მიმდინარე მოვლენების უგულებელსაყოფად. შესაბამისად, მიზანშეწონილია პორტოლანიდან მიღებული ცნობის გადამოწმება და შედარება სხვა წყაროებთან.

ხელმისაწვდომი დამხმარე ლიტერატურა ზოგადად კრიტიკულად უდგება პორტოლანებიდან მომდინარე ჰერალდიკურსა და ვექსილოლოგიურ ინფორმაციას, რადგან ის ხშირად არ შეესაბამება მოლოდინს. ვიმედოვნებთ, პორტოლანებზე დატანილი მარკერების (სიმბოლოების) ინვენტარიზაცია და მათი დათარიღება დაგვეხმარება ამა თუ იმ პორტოლანის შექმნის სავარაუდო თარიღის დადგენაში. თუმცა, შედეგი ხშირად ურთიერთგამომრიცხავია: ზოგიერთი გერბი და დროშა მიეკუთვნება დროის სხვადასხვა მონაკვეთს, ზოგი ასახავს ცვლილებებს პოლიტიკურ ურთიერთობებში, ზოგიც დროშია გაყინული და რეალობასთან კავშირი არ აქვს, ზოგი კი ეკუთვნის ფანტაზიის სამყაროს და პორტოლანზე აღნიშნავს შორეულ ქვეყნებს, რომელთა შესახებ ცოტას თუ სმენია.

ამ ნაშრომის მიზანია დაამტკიცოს, რომ ჩვენ თავიდანვე, შესაძლოა, არასწორ კითხვებს ვსვამდით. ყველა პორტოლანი არ გვანვდის ჰერალდიკურ ან ვექსილოლოგიურ ცნობას. ვარაუდობენ, რომ მხოლოდ მესამედია ასეთი და, როგორც ნესი, ასოცირდება პორტოლანების შექმნის იმ ტრადიციასთან, რომელსაც თავდაპირველად კატალონიური, ხოლო შემდგომში მაიორკული სკოლა უწოდეს. თუმცა, რამდენიმე ძველ გენუურ რუკაზეც არის ასეთი დროშები. კარტოგრაფები, რომლებმაც დაიტანეს ეს ნიშნები თავიანთ პორტოლანებზე, არ ცდილობდნენ დენ ბრაუნის სტილში პორტოლანის შექმნის თარიღი გამოცანად ექციათ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ სილამაზისთვის, ხანდახან კი შუა საუკუნეების ცნობილი „ცარიელი ადგილის შიშის“ წყალობით პორტოლანებზე დაჰქონდათ არააქტუალური ან არარსებული სიმბოლოები, კარტოგრაფები უმთავრესად ცდილობდნენ ლირებული ინფორმაცია მიენოდებინათ მეზღვაურებისთვის.



ჰერალდიკური ან ვექსილოლოგიური ნიშნები ეხმარებოდა მათ ზღვაზე ორიენტირებაში და აგრეთვე მეგობრებისა და მტრების ამოცნობაში.

თუმცა საქმე ასე მარტივადაც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო ნავიგაცია მოგზაურობის ყველაზე სწრაფი საშუალება იყო, კარტოგრაფები ყოველთვის არ ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას. ისი-

ნი ხშირად იყენებდნენ მოძველებულ ნიშნებსა და სიმბოლოებს ძველი პორტოლანებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური ინფორმაცია იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი, გერბი და დროშა პორტოლანებზე ხშირად მიუთითებდა ამა თუ იმ ქვეყნის მმართველ ძალაზე ამავე დროს, გასათვალისწინებელი იყო ისიც, თუ ვინ ფლობდა სინამდვილეში ძალაუფლებას და ვინ მხოლოდ აცხადებდა პრეტენზიას მასზე. ამ თვალსაზრისით, პორტოლანის ნაკითხვა ლამის ცის ყურებას გავს, რაც უფრო შორსაა საგანი მაყურებლისგან, მით უფრო დამორებულია ის დროშიც.

**Luc Duerloo**

University of Antwerpen  
president of the Flemish Heraldic Council

### **Portolans: Portals to a Heraldic and Vexillological Past**

Portolans do not have a flawless reputation when it comes to the heraldic and vexillological evidence that they provide. The constraints imposed by the available space often forced the cartographer to depict arms or flags in a curtailed way. Pigments may have faded or oxidated over time, rendering the image difficult to read or to interpret correctly. Apart from such material considerations, cartographers may not always have had access to the latest information or may even have had reasons for ignoring recent developments. It is therefore prudent to compare their evidence with that of other types of sources.

The available secondary literature is in general critical of the heraldic and vexillological evidence provided by portolans because it falls short of expectations. It is hoped that by making an inventory of these markers and assigning dates to them, it will be possible to work out a rough date of when the portolan was produced. The outcome, however, is often contradictory. Some of the arms or flags belong to earlier or later periods than others. Some are believed to indicate shifts in political relations. Some others seem to have been frozen in time, disregarding realities on the ground. Some even seem to belong to the realm of fantasy, made up in reference to tales about distant lands of which little was known.

This paper wants to argue that we may have been asking the wrong questions. Not all portolans provide heraldic or vexillological evidence. It is estimated that only about a third of them do. They are usually associated with what was originally called the Catalan and has since been renamed the Majorcan tradition of portolan-making. While this is generally the case, a few older examples from Genoa also bear such ensigns. The cartographers who added such markers to their portolans did not seek to encode some Dan Brown-like riddle that would reveal the date of their fabrication. While the ambition to embellish or the proverbial medieval horror vacui may have played a role, they chiefly did so to add information that they deemed valuable for those who were going to use the portolan. At sea heraldic or vexillological markers could serve as a means of orientation. They could also help to identify the other as a friend or a foe.



Matters might be complicated, however, in several ways. Navigating the waters may have been the fastest means of travel during the period, but that did not mean that cartographers were always in possession of the latest information. They may also have been set in their ways out of convenience, reproducing obsolete markers from older models. Bearing in mind that information about power relations could be of critical importance, we tend to assume that the arms or flags on the portolans marked who was wielding power somewhere. Yet it may also have been prudent to know who was claiming power rather than actually exercising it. Considered from that perspective, deciphering the information of a portolan was comparable to looking at the night's sky. The further an object was removed from the viewer, the further it may have been removed from him in time.

## პორტოლანური რუკები ციფრულ ეპოქაში

საზღვაო რუკები - პორტოლანები ოდითგანვე ინვესტირებდნენ ალფრთოვანებას თავიანთი არაჩვეულებრივი სილამაზით. ეს რუკები გვიან შუასაუკუნეებში გამოჩნდნენ; ნავიგაციისთვისაა შექმნილი, ისინი ხასიათდებოდნენ რუმბებით, ჩრდილოეთის მიმართ გაზომილი მუდმივი მიმართულების სვლაგებით. რუმბის ხაზები წარმოდგება ქსელის საკვანძო წერტილებიდან და ადგენენ მდგენელს ქარის ყველა მიმართულებასთან (და დანაყოფებთან), რაც ამარტივებს კურსის დაჭერასა და მუდმივი მიმართულებით ნავიგაციას. ამ რუკების მთავარი მიზანი სანაპირო ხაზების, პორტების, ქალაქებისა და კუნძულების ზუსტი ასახვა და შესაბამისი ურთიერთგანლაგების ჩვენება იყო. სადღეისოდ, ჯერ კიდევ შემორჩენილია 180-მდე პორტოლანი, მათგან ყველაზე ძველია Carta Pisana, რომელიც ზოგადად XIII საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ითვლება, რომ ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ რუკებისა, რომლებიც რეალურად გამოიყენებოდა წარსულში.

ტრადიციული თვალთახედვით, პორტოლანური რუკების წარმოშობისა და შინაარსის შესახებ ბევრია დანერვილი, მაგრამ მათ მიმართ უფრო ტექნიკური მიდგომა შედარებით ახალია.


პროფ. დოქტ. იასონ იონგეპიერის ეს პრეზენტაცია დაიწყება პორტოლანების მოკლე წარდგენით, მათი ძირითადი მახასიათებლების, შექმნის ხერხებისა და „საიდუმლოებების“ (მაგ. მათი წარმომავლობის შესახებ), რომლითაც ისინი არიან მოცული, დახასიათებით. არ გპირდებით ხანგრძლივი დებატების დასრულებას, ამ პრეზენტაციით, ძირითადად, გვსურს ნათელი მოეფინოს ახალ ტექნოლოგიებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გადაჭრას ამ ტიპის საკითხები, ან რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ამგვარ რუკათა კოლექციების დამუშავებისა და „მართვის“ ახალი საშუალება.

ამ ახალი ტექნიკური შესაძლებლობების საჩვენებლად, პორტოლანის დიაგრამების ნიმუში დამუშავდება გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებში (GIS). ამ მეთოდოლოგიის უპირატესობებია ის, რომ (1) პორტოლანის შეიძლება დაედოს დღევანდელ რუკებსა და სხვა ისტორიულ რუკებს გეორეფერენციით; (2) ამ პროცესის შედეგად შესაძლებელია ავილოთ რუკის სიზუსტის სხვადასხვა ანათვალი; (3) შესაძლებელი ხდება ამ რუკების, პოტენციურად დიდი რაოდენობის, გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებში (GIS) შენახვა და ვიზუალიზაცია; (4) ამავე რუკებზე შესაძლებელია მოხდეს ისეთი ობიექტების დიგიტალიზაცია, როგორიცაა ქალაქები, ასევე დროშები ან ჰერალდიკური ნიშნები და (5) თეორიულად, შესაძლებელია, მონაცემთა უსასრულო რაოდენობა, ცხრილების სახით, მიეხას ამ ციფრულ მახასიათებლებს.

GIS-ის დამუშავების განმარტების შემდეგ წარმოდგენილი იქნება სივრცული ანალიზი შემდეგი ფორმით (1) ნიმუშის დროში ამონარიდის სახით; (2) რუკის სიზუსტის შეფასება; (3) ორიენტაციის ანალიზი და (4) დროშის გა-

მოჩენის ლოკალიზება. ეს ანალიზი მოგაწვდით რუკებს შორის გადაფარვასა და განსხვავებაზე ინფორმაციას, ასევე, ნიმუშის ტექნიკურ და შინაარსობრივ მახასიათებლებზე.

ამ პრეზენტაციის განმავლობაში ერთმანეთს შეენაცვლება თეორია და პრაქტიკული მაგალითები, რომელთათვისაც ეს პრეზენტაცია, ამავდროულად საბაზისო სახელმძღვანელოცაა. ამ პრეზენტაციის შემდეგ, ყველას, ვინც დაინტერესებულია პორტოლანების ციფრულ გარემოში შესწავლით, შეეძლება გამოიყენოს წარმოდგენილი მონაცემები და შეცვალოს და გააფართოვოს პორტოლანური რუკების რაოდენობა საკუთარი კვლევის საჭიროებისამებრ.



**Iason Jongepier**

University of Antwerp  
State Archives of Belgium

### **Portolan Charts in a Digital Era**

Portolan Charts have been admired for their extraordinary beauty for a long time. These maps appeared in the late Medieval and Early modern period and were made for navigational and are characterized by the presence of Rhumb lines, paths with a constant bearing as measured relative to the North. These lines stem from a network of central points with lines in all wind directions (and subdivisions) making the task of setting course and navigating a constant direction easier. The focus of these maps lied in the accurate depiction and a proper relative positioning of coastlines and ports, towns and islands. Nowadays, ca. 180 portolan charts still survive, the oldest being the Carta Pisana that is generally dated at the end of the thirteenth century. This is believed to be only a small fraction of the number of maps that were actually circulating at the time.

From a more traditional view, many words have been written on the emerging and contents of Portolan Charts, but only relatively recently a more technical approach to these maps came into play.

This presentation by prof. dr. Iason Jongepier will start with a short introduction to Portolan Charts, their main characteristics, the way they are believed to be produced and the ‘mysteries’ - e.g. on their exact origins - they are surrounded by. Without promising to solve these long debates, the main part of this presentation wants to shed light on new technologies and possibilities that might allow to tackle this kind of questions or that simply can be used as a new way of processing and ‘managing’ collections of these maps.

To demonstrate these new technical possibilities, a sample of Portolan Charts will be processed in Geographical Information Systems (GIS). Benefits of this methodology are that (1) Portolan Charts can be overlaid with present-day maps and with other his-

torical maps through georeferencing; (2) Based on this process various map accuracy measurements can be taken; (3) A potentially large number of these maps can be stored and visualized within the GIS; (4) on top of these maps a digitalization of features like cities, but also flags or heraldic signs, can be made and (5) An in theory infinite number of data in spreadsheet form can be linked to these digitized features.

After an explanation of the GIS processing a spatial analysis will be presented in the form of (1) a timelapse of the sample; (2) a map accuracy assessment; (3) orientation analysis and (4) localized flag occurrence. This analysis will provide information on the overlaps and differences between the maps, as well as on the technical and content wise characteristics of the sample.



Throughout this presentation, theory will be mixed with practical applications, for which this presentation forms a basic tutorial at the same time. After this presentation, anyone who is interested in exploring Portolan Charts in a digital (open source) environment should be able to use the presented data and edit and extend the number of Portolan Charts to their own preferences.

**XVIII-XIX საუკუნეების გალიციის (ჰალიჩინა) სასოფლო ბეჭდები, როგორც თანამედროვე მუნიციპალური გერბებისა და დროშების წყარო**

გალიციაში (ჰალიჩინა; ახლა - დასავლეთ უკრაინა), XVIII საუკუნის დამლევს ავსტრიის ხელისუფლების რეფორმამ მიწები დაყო საბატონო (მემამულე) და სასოფლო (გლეხთა) თემებად, რამაც გამოიწვია სათემო ბეჭდების აუცილებლობა. იმ დროს, სასოფლო თემები აქტიური არ იყვნენ; მათი ბეჭდები ძირითადად გამოიყენებოდა სხვადასხვა ხელშეკრულებაზე მერებისა და გლეხთა სხვა წარმომადგენლების ხელმოწერის (ან ხელმოწერის ნაცვლად დასმული ჯვრის) დასამონმებლად. ბეჭდებზე გრავიურები და წარწერები (ლეგენდები) რელიეფურად იყო ამოკვეთილი, რათა მათ ცვილში ამობურცული ანაბეჭდი დაეტოვებინათ. თუმცა, გაჭვარტლული ბეჭდების გამოყენების პრაქტიკა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნეში (სანთლის ალზე გაჭვარტლილი ბეჭედით ქალაღებზე ანაბეჭდს ტოვებდნენ). ბეჭდებს ძირითადად ქალაქელი ხელოსნები ამზადებდნენ. ერთსა და იმავე ოსტატს შეეძლო შეექმნა ბეჭედი რამდენიმე თემისთვის, რაც დასტურდება კომპოზიციური დიზაინით, ლეგენდის შინაარსით და ბეჭდის ფორმითა და ზომით.

ითვლება, რომ ბეჭედზე გამოსახული სცენა თავად გლეხები არჩევდნენ. თუმცა გვხვდება სტანდარტიზებული გადაწყვეტილებების შემთხვევებიც. მაგალითად, XVIII საუკუნის მიწურულს სკოლეს რაიონის 20-ზე მეტი სოფლის ბეჭედზე გამოსახულია ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ტოტის ერთნაირი გამოსახულება; ამგვარ ბეჭდებს მხოლოდ დასახლებათა სახელების წარწერა განასხვავებს. შინაარსის მრავალფეროვნებით ხასიათდება მეზობელი დროჰობიჩის რაიონის სოფლის თემების ბეჭდები. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენებოდა ინდივიდუალური გამოსახულება, რომელიც ასახავდა ფლორისა და ფაუნის თავისებურებებს, ყოფით სცენას სოფლის ცხოვრებიდან, ან ძირითად ადგილობრივ ინდუსტრიას. ზოგჯერ, თემი ასოცირდებოდა ლეგენდასთან ან რეალურ მოვლენასთან. სიმბოლოებს ხშირად ჰქონდათ ასოციაციური მნიშვნელობა, რაც მიანიშნებდა დასახლების სახელზე. თემების უმეტესობამ შეინარჩუნა ტრადიციული გამოსახულებები ახალი ბეჭდების შექმნისაც კი, ამდენად ზოგი მოტივი შემორჩენილია ბეჭდებზე XX საუკუნის დამდეგიდან.

1997 წელს მიღებული უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით,



სახებ კანონით, ტერიტორიულ თემებს (მუნიციპალიტეტებს) უფლება აქვთ გამოიყენონ საკუთარი სიმბოლოები - გერბი, დროშა და ა.შ. ბუნებრივია, სოფლის ბეჭედ-

ებიდან ყველა მოტივი ვერ იქნება გამოყენებული თემის გერბის შესაქმნელად; ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი საჭიროებენ სპეციალურ ჰერალდიკურ დამუშავებას. უკრაინის ჰერალდიკურმა საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა თანამედროვე მუნიციპალური ჰერალდიკის განვითარების ძირითადი პრინციპები. ამის საფუძველზე ჩვენ შევქმენით და ადგილობრივმა საბჭოებმა დაამტკიცეს მრავალი ახალი გერბი და დროშა უძველესი ბეჭდების გათვალისწინებით.

**Andriy Grechylo**

Ukrainian Heraldry and Vexillology Society

### **Rural Seals of Galicia (Halychyna) from the XVIII-XIX centuries as a source for modern municipal coats of arms and flags**

Introduced by the Austrian authorities in Galicia (Halychyna; now – Western Ukraine) at the end of the 18th century, land distribution reforms into dominial (manorial) and rustic (peasant) communities led to the emergence of communal seals. Rural communities were not engaged in active business at that time; their seals were mainly used to authenticate the signatures (or crosses made in place of signatures) of mayors and other peasant representatives on various agreements. The engravings and inscriptions (legends) on the seals were carved in relief so that they could leave a raised image when pressed into wax. Although the practice of using sooty impressions was more widespread in the late 18th and throughout the 19th century (the seal was blackened by candle flame and stamped on paper). Seals were mostly crafted by urban artisans. The same master could create seals for several communities, indicated by compositional design, legend content, and the shape and size of the seal.

It is believed that the depicted scene on the seal was chosen by the peasants themselves. However, there are also cases of standardized solutions. For instance, seals from over 20 villages in the Skole district from the late 18th century feature the same image of two intersecting branches, differing only in the names of the populated places above them. On the other hand, rural communities in the neighboring Drohobych district had much more diverse content. In each specific case, an individual image was used, representing flora and fauna peculiarities, domestic scenes from rural life, or characterizing the main local industries. Sometimes, the themes were associated with legendary or real events. Symbols often had associative meanings, indicating the name of the settlement. Most communities retained traditional images even in the creation of new seals, which is why some motifs have been preserved on seals from the beginning of the 20th century.

In accordance with the Law of Ukraine on Local Self-Government adopted in 1997, territorial communities (municipalities) have the right to use their own symbols – coats of arms, flags, etc. It is evident that not all motifs from village seals can be used in creating coats of arms for rural communities; in some cases, they require special heraldic processing. The Ukrainian Heraldry Society has already developed the main principles for the development of modern municipal heraldry. Based on this, we have created and local councils have approved many new coats of arms and flags, taking into account ancient seals.

## ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე

ზღვას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად მდიდარი ფოლკლორული, ისტორიული, ნუმიზმატიკური, ჰერალდიკური მასალისა, შავი ზღვა სათანადოდ არ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რასაც აქვს პოლიტიკური საფუძველი, კერძოდ რუსეთის მცდელობა 1801 წლიდან ქართული საზოგადოებისთვის ზღვას დაეკარგა კუთვნილი მნიშვნელობა.

მოხსენებაში განხილულია მე-17 საუკუნის სვეტიცხოვლის ფრესკა, რომელიც სრულიად განსხვავდება ქართული კედლის მხატვრობისგან და ჩვენი ვარაუდით შეიცავს არა მხოლოდ რელიგიურ შინაარსს, არამედ დატვირთულია სიმბოლოებით და სავარაუდოდ გადმოსცემს ასევე თანადროულ პოლიტიკურ მოვლენებს.

კონსტანტინოპოლის დაცემა და შავი ზღვის გადაქცევა „ოსმალეთის ტბად“, საქართველოში ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში აღქმული იყო როგორც უდიდესი სულიერი მარცხი, რიგ შემთხვევებში “მეორედ მოსვლის” უწყება, რამაც ასახვა პოვა როგორც ისტორიულ მოვლენებში, მაგალითად ლეჰანტოს საზღვაო ბრძოლაში, ისე ანტი-ოსმალურ კოალიციაში, რაშიც ჩართული იყო საქართველოც. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ფრესკაზე გამოსახული აფრიანი ხომალდები დროშებით, აპოკალიფსური მხეცი და ქარის პერსონიფიცირებული გამოსახულებები.



**Manana Gabashvili**  
Giorgi Tsereteli  
Institute of Oriental Studies

### Sea and ships with Georgian flags on the fresco of the Svetitskhoveli Cathedral

The Black Sea has held a persistent and profound significance in Georgian history. Notwithstanding the wealth of indigenous folklore, historical sources, numismatic relics, and heraldic insignia, it is evident that the comprehensive exploration of the Black Sea remains an underdeveloped domain within the purview of Georgian historiography. This lacuna can be attributed to a discernible political underpinning, specifically, the

sustained efforts of Russia since 1801 to erode the maritime prominence of the Black Sea within Georgian societal consciousness.

The ensuing presentation centers its discourse on the Svetitskhoveli Fresco of the 17th century, a remarkable artistic artifact that markedly deviates from the established conventions of Georgian wall painting. Notably, this fresco transcends its conventional role as a repository of religious iconography; it emerges as a repository laden with a profusion of allegorical symbols, conceivably serving as a conduit for disseminating contemporaneous political messages.

Constantinople's fall and the Black Sea's subsequent metamorphosis into an "Ottoman lake" within the territorial confines of Georgia and across the global milieu engendered profound spiritual perturbation. This monumental transformation assumed, in certain instances, an eschatological character akin to the heralded "second coming." The ubiquity of this eschatological sentiment found its manifestation not only within the annals of historiography but also in palpable historical occurrences. Of particular salience is the pivotal naval confrontation at Lepanto, alongside various instances of concerted anti-Ottoman coalition endeavors, within which Georgia actively participated.

It is noteworthy that within these historical narratives, emblematic maritime vessels adorned with distinctive ensigns, evocative depictions of apocalyptic creatures, and personifications of prevailing winds emerge as salient motifs, underscoring the intricate tapestry of symbolism encapsulated within the Svetitskhoveli Fresco. These motifs collectively stand as emblematic testaments to the multifaceted narratives interwoven with the annals of the Black Sea's historical trajectory, emblematic of the enduring spirit of Georgian society.



## ბოჰემიური, მორავიული და სილეზიური სიმბოლოები ისტორიულ წყაროებში

შუა საუკუნეებში ცენტრალური ევროპის გულს ჩეხეთის სამეფო წარმოადგენდა, მმართველი პრზემისლიდების ოჯახით. მათი მიწები, მათი მეფობის დროს შემატებული ტერიტორიებიანად ბალტიიდან ადრიატიკამდე ვრცელდებოდა. ჩეხეთის სამეფომ დიდი მნიშვნელობა შეიძინა XIII და XIV საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ჩეხეთის მეფე, საღვთო რომის იმპერიის შვიდი კურფიურსტიდან ერთ-ერთი, ვენცლავ III ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის გვირგვინს ფლობდა. თუმცა, სამეფოს გული ყოველთვის იყო ბოჰემიის, მორავიისა და სილეზიის მიწები. მათი სიმბოლოები დღესაცაა ჩეხეთის გერბზე.

პრზემისლიდების დინასტიის ორიგინალური გერბი შავი ცეცხლოვანი არწივი იყო. როდესაც პიომისლ ოტაკარ II გახდა მორავიის მარკგრაფი, მან როგორც სამეფოს სიმბოლო, არწივი ჩაანაცვლა წითელ ფარზე ვერცხლის ლომით. 1307 წელს პრზემისლიდების ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ, ჩეხეთის მეფემ და რომის იმპერატორმა იოანე ლუქსემბურგელმა, რომლის ცოლი იყო ვაცლავ II-ის ასული, პრზემისლიდე ელიშკა ცეცხლოვანი არწივი მიანიჭა ბრნოს პრინცს ნიკოლოზს, ტრენტის ეპისკოპოსს (1027-1803). ამგვარად, არწივი გაქრა ჩეხური ჰერალდიკიდან. თუმცა, ის ჯერ კიდევ გვხვდება იტალიის ამჟამინდელი ავტონომიური რეგიონის ტრიდენტი-ზემო ადიჯის ემბლემაში.

ვერცხლისფერი მენამული არწივი XIII საუკუნეში მორავიის მარკგრაფების სიმბოლოდ იქცა. 1261 წელს პიომისლ ოტაკარ II-ს მიენიჭა მარკგრაფის ახალი გერბი ვერცხლის არწივი (თავდაპირველად ანდესების გვარის კუთვნილი) ლურჯ ველზე. 1268 წელს მან არწივზე განათავსა ვერცხლისფერ-მენამული სპონჰეიმის ჭადრაკული დაფა. გერბი გამოხატავდა მორავიის მმართველობას და მემკვიდრეობით პრეტენზიას სპონჰეიმის საჰერცოგოზე კარინტიასა და კარნიოლაში. უძველესი ფერადი გამოსახულება წარმოდგენილია კრემსში (ავსტრია) გოზის სასახლის გერბების დარბაზში.

ოქროს ველზე შავ არწივს XIII საუკუნიდან გამოსახავდნენ პოლონეთის პიასტების დინასტიის წარმომადგენლები. მას იყენებდა ჰაინრიხ II სილეზიისა და მისი გამოხატულება გვხვდება მანესეს კოდექსში. მეფე ვენცლავ II-ის დროს სილეზია გახდა ჩეხეთის სამეფოს ნაწილი. 1318 წლიდან ოპავას (ტროპაუ) სამთავროს მართავდა პრზემისლიდების ოჯახის უმცროსი შტო. 1850 წლიდან სილეზია ბოჰემიის სამეფოს გვირგვინს მიეკუთვნებოდა.

იაგელონების მეფობის შემდეგ, ჩეხეთის სამეფო, მორავიის საგრაფოსა და სილეზიის საჰერცოგოსთან ერთად, ჰაბსბურგთა სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მათი სიმბოლოები საღვთო რომის იმპერიის და მოგვიანებით ავსტრიის იმპერიის გერბის განუყოფელი ნაწილი გახდა 1918 წ. იმპერიის დაშლამდე. ახლად დაფუძნებულმა ჩეხოსლოვაკიამ დაიბრუნა თავისი ისტორიული



რიული სიმბოლოები, სლოვაკეთის სიმბოლოსთან - წითელ ველზე სამი ლურჯი მთის თავზე გამოსახულ ორმაგ თეთრ ჯვართან - ერთად. 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკა კვლავ დაუბრუნდა ტრადიციულ სიმბოლოებს, რომლებიც შეტანილია ჩეხეთის დიდ გერბში.

**Petr Exner**

The Center for Vexillological  
Information (Czech Republic)

### **Bohemian, Moravian and Silesian Symbols in Historical Sources**

The core of Central Europe in the High Middle Ages was the Czech kingdom with the ruling Přemyslides family. Territorial gains During their reign stretched from the Baltic to the Adriatic. The Czech kingdom gained its greatest importance at the turn of the 13th and 14th centuries, when the Czech king, one of the seven prince-electors of the Holy Roman Empire – Wenceslaus III, bore the Czech, Polish and Hungarian crowns. However, the core of the Kingdom was always the lands of Bohemia, Moravia and Silesia. Their symbols are even today in the national coat of arms of the Czech Republic.

A black flaming eagle was the original coat of arms of the Přemyslide dynasty. At the time when Přemysl Otakar II became the Moravian Margrave, he replaced an eagle with a silver lion in a red shield as the symbol of the kingdom. After the extinction of the Přemyslides family by the sword in 1307, the Czech king and Roman emperor John of Luxembourg, whose wife was Přemyslide Eliška – a daughter of Václav II, awarded the flaming eagle to Prince Nicholas of Brno, bishop of the Princely Bishopric of Trent (1027 – 1803). In this way an eagle disappeared from Czech heraldry. However, it is still in the emblem of the current Italian autonomous region Trident-Upper Adige.

The silver-red checkered eagle became a symbol of the Moravian Margraviate in the 13th century. In 1261 Přemysl Otakar II was granted a new margrave coat of arms of a silver eagle (originally Andechs) on a blue field. In 1268, he placed the silver-red Sponheim chessboard over the eagle. The coat of arms expressed the rule in Moravia and the hereditary claim to the Sponheim duchy in Carinthia and Carniola. The oldest colored depiction is shown in the coats of arms hall of the Gozzi Palace in Krems (Austria).

The black eagle in a golden field - was used by representatives of the Polish Piast dynasty since the 13th century. It was used by Heinrich II of Silesia and its depiction is available in the Codex Manesse. Silesia became part of the Czech Kingdom under King Wenceslas II. The Opava (Troppau) principality was ruled by a minor branch of the Přemyslides family from 1318. Since 1850, Silesia had been a crown land of the Kingdom of Bohemia.

After the short reign of the Jagiellonians, the Czech Kingdom became - together with the Margraviate of Moravia and the Duchy of Silesia – an important part of the Habsburg Monarchy. Their symbols became an integral part of the coat of arms of the Holy Roman Empire and later of the Austrian Empire until 1918, when the empire disintegrated and the newly established Czechoslovakia returned it to its historical symbols supplemented by a white double cross on a blue three mountains peak in a red field symbolizing Slovakia. After the division of Czechoslovakia in 1993, the Czech Republic again applied to the traditional symbols and they are all contained in the great coat of arms of the Czech Republic.

## თავსებადი თუ შეუსაბამო? არისტოკრატიული ემბლემები საფრანგეთის სამოქალაქო ჰერალდიკაში

სამოქალაქო ჰერალდიკაში არისტოკრატიული გამოძახილის აქტუალობა განხილვის ღირსია. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა რეჟიმებმა, ზოგადად, უარყოფითად მიიღეს ასეთი ინიციატივა, ამკარა იდეოლოგიური მიზეზების გამო, რაც პროლეტარიატის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში, ხშირად, მისაღებად მიიჩნეოდა, ისტორიულად მნიშვნელოვანი არისტოკრატიული ოჯახის ასახვა იმ ტერიტორიის გერბში, სადაც ის იყო ფეხმოკიდებული. თუმცა, რესპუბლიკურ კონტექსტში, რამდენადაა მიზანშეწონილი წარმოვაჩინოთ სამოქალაქო თემი, ოდესღაც ჰეგემონური, არისტოკრატიული ელიტის ემბლემებით?



საფრანგეთში, პასუხი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქვეყნის კუთხეების მიხედვით. მიდგომათა ამ მრავალფეროვნების ასახვებზე, რომელიც შეიძლება მერყეობდეს სრულ უარყოფასა და ერთმნიშვნელოვან მიღებას შორის, საჭიროა ადგილობრივი კონტექსტის დეტალური ცოდნა. ყველა ის ფაქტორი, როგორცაა ისტორიული, სოციოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი, გასათვალისწინებელია დიდგვაროვნული ჰერალდიკური მემკვიდრეობისადმი მრავალფეროვანი დამოკიდებულების განსამარტავად.

**Nicolas Vernot**

The International Academy of Heraldry

### Relevant or Inappropriate? Aristocratic Emblems in French Civic Heraldry

The relevance of aristocratic evocations in civic heraldry is a subject worthy of discussion. The former socialist regimes of Central and Eastern Europe generally took a dim view of such an initiative, for obvious ideological reasons linked to the celebration of the victory of the proletariat. In Western Europe democracies, on the other hand, it has often been considered acceptable for a historically important aristocratic family to be evoked in the coat of arms of the territory in which it was established. But in a republican context, is it really appropriate to represent a civic community with the emblems of a once hegemonic aristocratic elite?

The history of Georgia knows a total of four kings named Giorgi who worked in 1160-1363. These are: Giorgi III, Lasha Giorgi IV, Giorgi V the Brilliant and Giorgi VI the Minor. Accordingly, it turns out that one of them is mentioned in the legend of the five-fold cross seal. The results of the study of the hagiographic collection further clarify the received conclusion. The study shows that King Giorgi, mentioned in the legend of the five-fold cross seal, owned the hagiographic collection, taking into account the time when this manuscript was copied (14th-15th centuries), at the earliest, in the 14th century. Thus, it is clear that from the probable list of kings mentioned in the legend of the five-fold cross seal, the kings – Giorgi III and Giorgi IV, who were already dead by the 14th century, should be excluded. Thus, it is established that in the legend of the five-fold cross seal, one of the kings Giorgi – either Giorgi V the Brilliant or Giorgi VI the Minor – is mentioned in the 14th century, more precisely, in the period from the beginning of the 14th century to 1363.

At this stage of the study of the issue, I cannot say with certainty which of the two kings named is mentioned in the legend of the five-fold cross seal. Nevertheless, I am more inclined to think that King Giorgi V is mentioned in the legend of the seal.

## ესპანური მონარქიისა და მისი ქვეყნების ჰერალდიკა დეკორატიულ ხელოვნებაში: XVII საუკუნის ორი მაგიდის ჰერალდიკური გაფორმება

შუა საუკუნეებში იბერიის ნახევარკუნძულის ტერიტორიულმა და პოლიტიკურმა განვითარებამ განაპირობა სხვადასხვა სამეფოების, ტერიტორიებისა და სამფლობელოების შექმნა (ასტურია, ლეონი, კასტილია, პორტუგალია, ნავარა, არაგონი, კატალონიური საგრაფოები, ვალენსია, მაიორკა, გრანადა...), რომლებიც თანდათან გაერთიანდნენ დინასტიურად ან ომით და გავრცელდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, ევროპასა და სხვა კონტინენტებზე (სიცილია, კორსიკა, ნეაპოლი, ბურგუნდია, ბრაბანტი, ფლანდრია, კანარის კუნძულები, ამერიკის ტერიტორიები...), სანამ კულმინაციას არ მიაღწიეს XVI საუკუნის II ნახევარში, ფილიპე II-ის მეფობის დროს.


ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი სამეფო ან პოლიტიკური და ტერიტორიული ერთეული შენარჩუნდა დროთა განმავლობაში (კასტილია, არაგონი, ორი სიცილია, ავსტრია, ფლანდრია, ტიროლი, ბარსელონა, რუსილიონი, სერდანია...); ზოგი ტერიტორია ეფემერული წარმონაქმნი იყო (ასტურია, გალიცია...), ზოგი სამეფოსაგან კი დაპყრობის შემდეგ (ტოლედო, სევილია, კორდობა, მურსია, ხაენი, ალგარვე...) მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობა შემორჩა. სხვები მხოლოდ ისტორიული პრეტენზია ტერიტორიებზე, რომლებსაც აღარ ფლობენ (იერუსალიმი, ათენი, ნეოპატრია...) ან მცირე სამფლობელოები, რომლებიც ანექსირებულ იქნა სამეფო ხელისუფლების მიერ (ბისკაი, მოლინა, ორისტანი, გოჩიანო...).

სწორად საწყისი ისტორიული ტერიტორიების ეს მრავალფეროვნება და სხვა ტერიტორიების ანექსია დაპყრობის და/ან წარმატებული ქორწინების შედეგად ქმნის უზარმაზარ იმპერიას, რაც ასახულია გრძელ ოფიციალურ ტიტულში: დონ ფელიპე, ღვთის შეწევნით კასტილიის, ლეონის, არაგონის, ორი სიცილიის, იერუსალიმის, ნავარას, გრანადას, ტოლედოს, ვალენსიის, გალიციის, მაიორკას, მენორკას, სევილიის სერდინიის, კორდობას, კორსიკის, მურსიის, ხაენის, ალგარვეს, ალხესირასის, გიბრალტარის, კანარის კუნძულების, აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდოეთის, ოკეანის კონტინენტის კუნძულებისა და მიწის მეფე, ავსტრიის ერცჰერცოგი, ბურგუნდიის, ბრაბანტის, ათენის, ნეოპატრიისა და მილანის ჰერცოგი, აბსბურგის, ფლანდრიის, ტიროლისა და ბარსელონის გრაფი, ვიჰაკიასა და მოლინას ზაგონი, და სხვ.

ეს ასევე აისახა მონარქიულ გერბზე, რომელიც ძალიან გადაიტვირთა და გახდა ძნელად აღსაწერი.

დაბოლოს, ფარების ეს სიმრავლე, რომელიც წარმოადგენს მონარქიასა და მის ქვეყნებს, აგრეთვე აისახა სხვადასხვა სახის ჰერალდიკურ ორნამენტებზე: შენობებზე, დოკუმენტებზე, ხელოვნების ნიმუშებზე... ამ სტატიაში განვიხილავთ XVII საუკუნის ავეჯის ორი საგნის ჰერალდიკურ ორნამენტს, რომელთაგან ერთი დათარიღებულია 1619 წლით (ფილიპე III-ის მეფობის პერიოდი), ხოლო მეორე 1623 წლით (ფილიპე IV-ის მეფობის პერიოდი).

ეს გახლავთ ორი მაგიდა, დამზადებული ნეაპოლში, პალისანდრისა და აბანოზის ხისგან სპილოს ძვლის ინკრუსტაციით დატანილი ჰერალდიკური ორნამენტით. ორივე მაგიდა ქ. ნეაპოლმა მიართვა მეფისნაცვალ ანტონიო



აღვარეს დე ტოლედოს, ჰერცოგ ალბას, რომელიც ამ თანამდებობას იკავებდა 1622-1629 წლებში.

ამ ჰერალდიკური ორნამენტიდან ნათლად ჩანს XVII საუკუნის მთავარი ჰერალდიკური პრინციპი, რომლის თანახმად ყველა სამეფოს უნდა ჰქონოდა ჰერალდიკური ემბლემა, მათ შორის, ტერიტორიებსაც წინარე-ჰერალდიკური ხანიდან და ტერიტორიებსაც, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი გერბი.

ამ სტატიის მიზანია ზემოაღნიშნული ორნამენტით წარმოდგენილი ყველა გერბის (და ტერიტორიის) იდენტიფიცირება, მათი დაკავშირება ისტორიულ სინამდვილესთან და იმის დადგენა, თუ რომელია ნამდვილი და რომელი - ისტორიულ საფუძველს მოკლებული ჰერალდიკოსთა ფანტაზიის ნაყოფი.

**Gerard Mari Brull**  
Barcelona University

### **Heraldry of the Hispanic Monarchy and its States through the Decorative Arts: Heraldic Decoration of two 17th Century Desks**

The territorial and political evolution of the Iberian Peninsula in medieval times led to the creation of different kingdoms, territories, and lordships (Asturias, León, Castile, Portugal, Navarra, Aragon, Catalan Counties, Valencia, Majorca, Granada...) which gradually joined dynastically or in warfare and they expanded throughout the Mediterranean, Europe and other continents (Sicily, Corsica, Naples, Burgundy, Brabant, Flanders, Canary Islands, American territories...) until culminating in the reign of Philip II in the second half of the 16th century.

Some of these territories are authentic kingdoms or political and territorial units that last over time (Castilla, Aragon, the Two Sicilies, Austria, Flanders, Tyrol, Barcelona, Roussillon, Cerdanya...); other territories were ephemeral precedents (Asturias, Galicia...), or kingdoms assimilated by conquest (Toledo, Seville, Córdoba, Murcia, Jaén, Algarve...) with only historical memory remaining. Others are historical claims of territories that they no longer dominate (Jerusalem, Athens, Neopatria...) and other small dominions that were annexed to royal power (Vizcaya, Molina, Oristán, Gocéano...)

This diversity of first historical territories and the annexation of others by conquest and/or successful marriage policies leads to the configuration of an extensive Empire that is reflected in a long official title: Don Felipe, por la gracia de Dios, Rey de Castilla, de León, de Aragón, de las dos Sicilias, de Jerusalén, de Navarra, de Granada, de Toledo, de Valencia, de Galicia, de Mallorca, de Menorca, de Sevilla, de Cerdeña, de Córdoba, de Córcega, de Murcia, de Jaén, del Algarve, de Algeciras, de Gibraltar, de las Islas Canarias, de las Indias Orientales y Occidentales, de las Islas y Terraferme del Continente Oceánico, Archiduque de Austria, Duque de Borgoña, de Brabante, de Atenas y Neopatria y de Milán, Conde de Absburg, de Flandes, del Tirol y de Barcelona, Señor de Vizcaya y de Molina, etc.

It is also reflected in the coat of arms of the monarchy with abundant partitions and very and very difficult to describe.

Finally, this abundance of shields to represent the Monarchy and its States is also reflected in the heraldic decoration on a multitude of supports: buildings, documents, art objects... In this paper, we study the heraldic decoration on two pieces of furniture from the 17th century, one dated 1619 (reign of Felipe III) and the other in 1623 (reign of Felipe IV).

These are two desks made in Naples, made of ebony and rosewood and inlaid with ivory where heraldic decorations are represented. These two desks are donations from the city of Naples to Viceroy Antonio Álvarez de Toledo, Duke of Alba, who held office between 1622 and 1629.

This heraldic decoration shows us the heraldic mentality of the 17th century when each kingdom must necessarily have a heraldic emblem, even for those territories from pre-heraldic times or that do not have their own coat of arms.

The aim of this paper is to identify all the coats of arms (and territories) represented in the decoration and relate them to the historical authenticity of each one: which are real and which are heraldists' inventions, with no historical basis.

## ჯვაროსნული კვალი ქართულ ნუმისმატიკაში

ჯვაროსნების მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენასთან დაკავშირებულმა ღრმა პოლიტიკურმა ძვრებმა ასახვა ჰპოვა მონეტაზე - ფულზე, რომელიც ყველაზე ზუსტად ირეკლავს სახელმწიფოს მიერ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ ხაზს.

თითქმის საუკუნენახევარია, რაც დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა, მეფის გამოსახულებით, ერთ ეგზემპლარად იყო ცნობილი და ინახებოდა ბრიტანეთის მუზეუმში. 2022 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ორი ახალი ეგზემპლარი შევიდა, ერთი - სრული, ხოლო მეორე ფრაგმენტის სახით.

დავითის გამოსახულებიანი მონეტის იკონოგრაფიული შესწავლისას თვალსაჩინო ხდება ის ძირითადი პოლიტიკური გზავნილები, რისი გაცხადებაც ემიტენტ მეფეს სურდა. მონეტის რევერსის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ჯვარი. პარალელურ ნუმისმატიკურ მასალასთან შედარებით გამოიკვეთა, რომ ჯვარიც და რევერსის სრული სიუჟეტიც ჯვაროსანთა ფულის სიმბოლიკას უკავშირდება. ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი გახადა ახალმა ეგზემპლარმა. ერთი შეხედვით მცირე სხვაობა, რაც გამოიხატა ჯვრის მკლავებს შორის ნერტილების დასმით, პირდაპირ კავშირს ავლენს ჯვაროსანთა მონეტებთან.

ლათინთა სიმბოლიკის შემოსვლა აღმაშენებლის მიერ მოჭრილ ფულზე, ისტორიული წყაროების სიმნიშვნის შემთხვევაშიც კი, მეფის ჯვაროსნებთან მოკავშირეობას თუ არა, მათ მიმართ გარკვეულ კეთილგანწყობას მაინც უნდა მოასწავებდეს. ქართველი მეფის მიერ საკუთარ მონეტაზე ლათინთა ჯვრის დასმა, სავარაუდოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ დავით IV-ისა და ჯვაროსნების ურთიერთობა შორდებოდა რიგით დიპლომატიურ კავშირებს.

ჯვაროსნულ კვალზე მეტ-ნაკლები სიძლიერით საქართველოში აღმოჩენილი ლათინთა იმპერიის მონეტებიც მეტყველებენ. საქართველოს ეროვნულ და დმანისის მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში დაცულია კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიის რამდენიმე მონეტა, რომლებიც დმანისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა. აღნიშნული ნუმისმატიკური ძეგლების მიმოქცევა, პირდაპირ თუ ირიბად, ჯვაროსნულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მტკიცებულებად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ჯვაროსნული სიმბოლიკის კვლევის კუთხით საინტერესოა ბერლინში, ბოდეს მუზეუმის ნუმისმატიკურ საგანძურში, კერძოდ, მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაევის) კერძო კოლექციაში დაცულია ერთი და იგივე ტიპის ორი მონეტა, რომლებიც მეცნიერს სავარაუდოდ, სხვა ქართულ მონეტებთან ერთად, საქართველოში აქვს მოპოვებული. მონეტები იერუსალიმში მოჭრილ ჯვაროსანთა ნუმისმატიკურ მემკვიდრეობას მიეკუთვნება. ყურადღებას იქცევს მონეტის რევერსზე არსებული ჯვრის იკონოგრაფია. ჯვრის მკლავებს შორის არსებული დეტალები არც ნერტილება და არც წარწერის ნაშთად შეიძლება ჩაითვალოს, ჩემი დაკვირვებით, პარალელურ არქეოლოგიურ მასალასთან შედარებით, სამსჭვალეობა (ლურსმნები). სამსჭვალეობით წარმოდგენილი ჯვარი მონეტაზე იერუსალიმთან და ქრისტეს ვნებასთანაა დაკავშირებული და ვფიქრობთ ქრისტეს ხუთი ჭრილობის სიმბოლურ გამოსახვასთან გვაქვს საქმე.

ჯვაროსნული სიმბოლიკის ნუმისმატიკურ ძეგლებზე შემოტანა და საქა-



როველოში ჯვაროსნული მონეტების მიმოქცევა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის მაჩვენებელია.

**Maia Pataridze**  
Ilia State University

## The Crusader Traces in the Georgian Numismatics

The profound political changes brought about by the emergence of the Crusaders on the world stage had a significant impact on money, which accurately reflects the state's chosen foreign policy.

For nearly a century and a half, a copper coin of David IV (1089–1125), the Builder, depicting the king himself, was kept in the British Museum as a unique example. In 2022, the National Museum of Georgia received two new examples, one in complete and the other in fragmentary form.

When examining the iconography of a coin bearing David's image, the eminent king's main political messages become evident. A cross is featured in the centre of the reverse of the coin. Comparison with parallel numismatic material revealed that both the cross and the entire plot of the coin's reverse are associated with the symbolism of the crusader's coins. The discovery of a new example affirmed the credibility of this argument. The placement of pellets in each quarter of the cross reveals a direct connection with the coins of the Crusaders.

The appearance of Latin symbols on the coins minted by David the Builder, even with the paucity of historical sources, should indicate at least some benevolence towards the crusaders, if not the king's alliance with them. The placing of the Latin cross on his own coin by the Georgian king presumably indicates that the relation between David IV and the Crusaders was something more than mere diplomatic ties.

The discovery of coins from the Latin Empire of Constantinople in Georgia found during archaeological excavations in Dmanisi and kept in the numismatic collections of the Dmanisi and National Museum of Georgia, provides valuable evidence of connections with the crusader states. These numismatic artifacts suggest a circulation of currency that directly or indirectly signifies interactions with the Crusades.

In the context of researching crusader symbolism, it's worth noting that in the numismatic treasure of the Bode Museum in Berlin, namely in the private collection of Mikhail Baratashvili (Barataev), two coins of the same type are preserved. It's likely that these coins were discovered in Georgia along with other Georgian coins. These coins are part of the numismatic heritage of the Crusaders and were minted in Jerusalem. What's particularly interesting about these coins is the iconography of the cross on the reverse side. The details positioned between the arms of the cross are not dots or remnants of an inscription but appear to be nails. This representation of the cross using nails is associated with Jerusalem and the Passion of Christ. I believe it symbolically represents the five wounds of Christ.

The introduction of Crusader symbols on numismatic artifacts and the circulation of Crusader coins in Georgia serve as indicators of the country's foreign political orientation.

### გვიან ბიზანტიური დროშები და ჰერალდიკა

მიუხედავად ვრცელი და კვალიფიციური ლიტერატურის არსებობისა, ბიზანტიური ვექსილოლოგიის საკითხი კვლავაც რჩება დიდწილად შეუსწავლელ და კვლევისათვის პერსპექტიულ სფეროდ, სადაც მრავალი ნყარო - როგორც ლიტერატურული, ასევე იკონოგრაფიული - ჯერ კიდევ აღმოსაჩენი და გასაანალიზებელია.

ჯვრის სიმბოლოს, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდანების, ასევე ცხოველთა, როგორიცაა არწივები/ფრინველები და ლომები, გამოსახულებათა გამოყენება ფართოდაა დადასტურებული X საუკუნიდან ბიზანტიურ ბეჭდებზე, მონეტებსა და წარწერებზე. მიუხედავად ამისა, ყველა ეს წინარე-ჰერალდიკური მოტივი წარმოადგენს პიროვნულ და არა მემკვიდრეობით ემბლემას. ჰერალდიკური პრაქტიკა ბიზანტიაში მხოლოდ XIII საუკუნიდან ვითარდება, დასავლეთთან შემხებლობით, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ იმპერიულ ტერიტორიებზე დაარსებული ფრანკთა სამთავროების გავლენით.

მთავარი სიმბოლო, რომელიც გვიანდელ ბიზანტიის იმპერიას უკავშირდება, ორთავიანი არწივია. იგი ბიზანტიელებს არ მოუგონით, არამედ ტრადიციული ანატოლიური მოტივია, რომელიც თარიღდება ქრისტიანობამდელი ხანით; მან ბიზანტიამდე მიაღწია არაბ და თურქ მეზობლებთან კონტაქტის გზით და თავად ბიზანტიელები მას მხოლოდ თავიანთი ისტორიის ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ. ზოგადად, ორთავიანი არწივს უკავშირებენ პალეოლოგოსთა ოჯახს, თუმცა 1301 წლამდე ეს კავშირი სარწმუნოდ არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად ჩნდება დასავლურ არმო-რიალებში, როგორც კონსტანტინოპოლის იმპერიის გერბი, სავარაუდოდ, მას არასდროს იყენებდა ბიზანტიელები, რომელნიც, მიუხედავად ამისა, სწრაფად მოერგნენ დასავლურ ჰერალდიკურ პრაქტიკას და ორთავიანი არწივის გამო-სახვის უფლებას ანიჭებდნენ თავიანთ დასავლელ ნათესავებს, ვასალებსა და მოკავშირეებს. იმპერიის ყოფილ საზღვრებში, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ბიზანტიური არწივი ასევე აითვისეს ეპიროსის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მორეის ნახევრად ავტონომიურმა დესპოტებმა და ტრაპიზონის იმპერიამ. ამდენად, ორთავიანი არწივი, სავარაუდოდ, არ იყო პალეოლოგების პრეროგატივა, არამედ წარმოადგენდა, ზოგადად, რომის იმპერიული ძალაუფლების სიმბოლოს და როგორც ამგვარი, მალევე გამოიყენეს ალბანელებმა, ბულგარელებმა, რუსებმა და სერბებმა თავიანთ ჰერალდიკაში. საღვთო რომის იმპერიამ ასევე მიიღო ის XIII საუკუნის შუა ხანებში.

დროშები ჯვრით ოთხად გაყოფილ ველზე დატანილი სხვადასხვა სიმბოლოებით, საკმაოდ გავრცელებულია ბიზანტიურ იკონოგრაფიულ ნყაროებში, სულ მცირე, X საუკუნიდან. ჯვარი, გამოისახება ის ქრისტოგრამის სახით თუ არა, დასაწყისიდანვე იყო ბიზანტიის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო. XIV საუკუნიდან მოყოლებული, ის ხშირად ჩნდება გარშემორტყმული ოთხი B ასოთი, როგორც ბიზანტიურ იკონოგრაფიულ ნყაროებში, ასევე დასავლურ პორტოლანებსა და საგერბო წიგნებში. ისტორიული ნყაროების მიხედვით, ტეტრაგრამატიკული ჯვრის ოთხი B შეიძლება ორგვარად განიმარტოს, როგორც დევიზის საწყისი ასოები - დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული





და გაიყოლა ძველი ან შეიძინა ახალი გერბი, ამით გახსნა რა კიდევ ერთი მიმზიდველი თავი კვლავაც მნიშვნელოვანნილად შეუხსნავლელ სფეროში.

ბიზანტიური პრაქტიკა, ან როგორც კვესის გამოსახულებანი.

ჰერალდიკური პრაქტიკის გავრცელება ბერძნულ არისტოკრატიულ ოჯახებში დამთხვა იმპერიული ხელისუფლების დანაწევრების მომენტს. ჰერალდიკამ დაიწყო გავრცელება როგორც იმპერიის შიგნით, ისე დასავლეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, როგორებიცაა დაცემის პერიოდის კრეტა, კვიპროსი და პელოპონესი და ვერასოდეს მიაღწია დასავლური ანალოგების გაქვრცელების ან სისტემატიზაციის დონეს. ოსმალთა მოსვლამ და ხელოვნების მათმა აღქმამ დაასრულა ჰერალდიკის განვითარება ყოფილ ბიზანტიურ სივრცეში, თუმცა ზოგი გვარი გადასახლდა უცხოეთში

**Andrea Babuin**

University of Ioannina, Greece

### Late Byzantine Flags and Heraldry

Despite the extensive and qualified literature on the subject, the topic of Byzantine vexillology remains a largely unexplored and promising field of research, with many sources – both literary and iconographical – still to be discovered and analyzed.

The use of the symbol of the cross, of images of Christ, of the Virgin/Theotokos and the saints, as well as of animals like eagles/birds and lions, is widely attested already from the 10th century on Byzantine seals, coins and inscriptions. Nevertheless, all these pre-heraldic motifs constitute personal rather than hereditary emblems. Heraldic practices in Byzantium will develop only from the 13th century onwards, through contact with the West because of the establishment of Frankish principalities on imperial territories after the fourth crusade.

The device mostly associated with the late Byzantine Empire is the double-headed eagle. It was not a Byzantine invention, but a traditional Anatolian motif dating to pre-Christian times that reached Byzantium through contacts with their Arab and Turkish neighbors. The Byzantine themselves only used it in the last three centuries of their history. Although generally connected with the Palaiologos family, it is not securely attested in connection with it until 1301. Even though it often appears in Western armorials as the coat of arms of the Empire of Constantinople, it was probably never used as such by the Byzantine, who nevertheless promptly adapted to Western heraldic practice bestowing the right to display the double-headed eagle to their Occidental relatives, vassals and allies. Within the former borders of the Empire, after the fourth crusade the

Byzantine eagle was also adopted by the independent state of Epiros, the semi-autonomous Despots of the Morea and by the Empire of Trebizond. So, the double-headed eagle was probably not a prerogative of the Palaiologans but rather a symbol of Roman imperial power in general and as such was soon put into use also by Albanians, Bulgarians, Russian and Serbs in their heraldry. The Holy Roman Empire likewise adopted it in the middle 13th century.

Flags with a cross in the field quartered with various symbols are quite common in Byzantine iconographic sources since the 10th century at least. The cross, be it in the form of the Christogram or not, was from the very beginning of its history the most important symbol of Byzantium. From the 14th century onwards, it often appears surrounded by four “B” letters both in Byzantine iconographic sources and in Western portolan maps and armorial books. According to period sources, the four “B”s of the tetragrammatic cross could both be interpreted as initial letters of a motto – a long-established byzantine practice – or as the depictions of flintlocks.

The diffusion of heraldic practices amidst Greek aristocratic families coincided with a moment of fragmentation of imperial authority. Heraldry began to spread both inside the Empire and in the territories under Western control like Crete, Cyprus and the Peloponnese in a period of decline and never managed to achieve the diffusion or the level of systematization of its Western analogues. The coming of the Ottomans and their conception of art brought an abrupt end to its development in the former Byzantine area, but some families migrated abroad and took with them old or acquired new coats of arms, opening one more fascinating chapter in a still vastly unexplored field of research.

### იერუსალიმის ჯვარი

იერუსალიმის ჯვარი წარმოადგენს ცენტრალური ჯვრის მკლავებში ჩასმულ ოთხ პატარა ყვითელ თანაბარმკლავებიან ჯვარს, რომლებიც თეთრ ველზეა დადებული, რითაც გამიზნულად დარღვეულია შერალდიკის ძირითადი კანონი, რომელიც კრძალავს ლითონის ლითონზე მოთავსებას. ამით მისი განსაკუთრებულობაა საზგასმული.

იერუსალიმის აღმნიშვნელი ხუთი ჯვარი შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ის არ გვხვდება ჯვაროსნული მოძრაობის დასაწყისში და სრულიად უცნობია პალესტინაში. არც იერუსალიმის სამეფოს მონეტებზეა აღბეჭდილი ხუთი ჯვარი.

იერუსალიმის ჯვრის სხვადასხვა ვარიანტები XIII საუკუნის შუახანებისათვის იჩენს თავს. პირველად ის უნდა ჩანდეს 1228 წლის საბუთზე, რომელსაც ბრიენის გრაფის გოტიე IV-ის (1205-46) ბეჭედი აზის. გოტიეს ბეჭდის წინა მხარეს საგვარეულო ლომია გამოსახული, რევერსზე კი იერუსალიმის ჯვარი, რომლის ცენტრალური ჯვარი მრავალი პატარა ჯვრითაა გარემოცული.

იერუსალიმის ჯვრის სახეცვლილებები ასახულია მეთიუ პარიზელის შრომებში. Historia Anglorum-ში, რომელიც 1250-55/59 წლებით თარიღდება, გოდფრუა ბუიონის გარდაცვალებისა (1100) და ბალდუინ I-ის გამეფების ამსახველ ორივე ფარზე ყვითელ ველზე თეთრი ჯვარია აღბეჭდილი. ასეთივე ფარი ჯვრით ჩანს ფულკ ანჟუელისა (1142) და ჰენრი შამპანელის (1197) გარდაცვალებისას. ჟან დე ბრიენის გარდაცვალება (1237) იმავე თეთრი ჯვრით ყვითელ ფარზე არის ნაჩვენები, მაგრამ შემდეგ მინიატურაზე, სადაც გამოსახულია ხუთი მეფის გერბები, რომელთაც ჯვარი იტვირთეს, ჟან დე ბრიენის ფარი მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და დამატებული აქვს პატარა ვერცხლის ჯვრები.

შემდგომ საგერბე ნიგნებში იერუსალიმის გერბზე ჯვრების რიცხვი იკლებს და ის ჩვეულ სახეს იღებს. 1285 წლის სიგარის გრაგნილში იერუსალიმის მეფის გერბზე მხოლოდ ხუთი ჯვარია. XIV საუკუნის II ნახევრის ბელენვილის (ბოლნეკურის) და გელრეს არმორიალებში კვიპროსის მეფის გერბზე ვხვდავთ იერუსალიმის აღმნიშვნელ ოქროს ხუთ ჯვარს ვერცხლის ფარზე.

ამავე ხანებში ჩნდება იერუსალიმის ჯვარი მონეტებზეც. 1277 წელს შარლ I ანჟუელი (1266-85) იერუსალიმის მეფედ ეკურთხა და ამ მოვლენის აღსანიშნავად მან მოჭრა ოქროს ფული რევერსზე თავისი ახალი გერბით, რომელშიც გაერთიანებული იყო იერუსალიმის ჯვარი და ანჟუური შროშანები.

ამ ხუთფიგურიანი კომპოზიციის სათავე, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში უნდა ვეძებოთ.

XI საუკუნის II ნახევარში ბაიოს გობელენზე გამოსახულია დროშა, რომლის ცენტრალური ჯვრის კანტონებში ბეზანტებია ამოქარგული. ჯვარი ბეზანტებით ხშირად გვხვდება როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ბრიტანეთის კუნძულების ნუმიზმატიკაშიც. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოები ბიზანტიური ფულის წონითი სტანდარტებისა და იკონოგრაფიის ნაბაძვით ჭრიდნენ მონეტებს. ჯერ კიდევ მეროვინგებმა,

ბიზანტიის მიზანმიმართულ, თავიანთ მონეტებზე გამოსახული ჯვრის კანტონებში დაიწყეს სხვადასხვა ასო-ნიშნებისა და გეომეტრიული ფიგურების ჩასმა. მეროვინგების ოქროს ფულსა და ვერცხლის დენარიუსზე გვხვდება ჯვრის მკლავებში ბიზანტიების გამოსახულება.

ამ ტენდენციამ კიდევ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა კაროლინგურ ევროპაში. კაროლინგური მონეტების რევერსზე გამოსახული ჯვრის ოთხივე მკლავში ზოგჯერ ბურთულას ვხედავთ, ზოგჯერ კი ნახევარმთვარეებს ან რვა ბურთულას ოთხის ნაცვლად, ან ორ რგოლს მათ ნაცვლად.

სხვადასხვა გამოსახულებებით მორთული ჯვარი კარგად არის ცნობილი აღმოსავლეთის საქრისტიანოში. მას შემდეგ, რაც ქრისტეს ლაბარუმმა 312 წელს გამარჯვება მოუტანა კონსტანტინე დიდს, ჯვრის ნიშანი ხშირად გვხვდება ბიზანტიურ დროშებსა და ფულზე. ოთხი ასო-ნიშნით ან ოთხი ფიგურით (ჯვრები, ბიზანტიები, ბურთულები, ვარსკვლავები) გაფორმებული ჯვარი ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში VI საუკუნიდან გამოიყენება.

ბიზანტიებიანი ჯვრის სიმბოლიკა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიურ სინამდვილეში და დროშებშიც შეაღწია. მეტიც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დისკობიანი ჯვარი საიმპერატორო ხელისუფლების სიმბოლოდაც იქცა. ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ XI საუკუნის შუახანების ბერძნული მანუსკრიპტის Vat. gr. 752 ილუსტრაციებში სამჯერ ვხვდებით დროშას, რომლის ცენტრალური ჯვარი ბიზანტიებითაა გამშვენებული და იმპერატორს ახლავს თან.


როგორც მოხდა ხუთფიგურიანი გეომეტრიული კომპოზიციის ტრანსფორმირება ხუთჯვრიან სიმბოლოდ?

მეთიუ პარიზელის შრომებიდან ირკვევა, რომ ჟან დე ბრიენის ფარმა (ვერცხლის ჯვარი ოქროს ფარზე) ცვლილება განიცადა და მოგვევლინა როგორც ოქროს ფარზე ვერცხლის ჯვარი თოთხმეტი პატარა ჯვრით. ამ ფარში გაერთიანებული უნდა იყოს იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის გერბები, მას შემდეგ რაც ჟანი კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორი გახდა.

კონსტანტინოპოლის ლათინთა მეორე იმპერატორმა ჰენრი ფლანდრიელმა (1206-16) ადგილობრივი ტრადიციის ზეგავლენით შეცვალა საგვარეულო გერბი. მისი წითელი დროშა, სამოსი და მუზარადი დაფარული იყო პატარა ოქროს ჯვრებით. ჰენრის ბეჭედზეც ცენტრალური ჯვრის კანტონებში წრეში (ბიზანტიში) ჩასმული ოთხი პატარა ჯვარია.

როგორც ჩანს, ბიზანტიურმა ტრადიციამ, რომელიც XIII საუკუნის 10-იან წლებში უკვე აისახა კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორების ჰერალდიკაში, ამის შემდეგ, უკვე 20-იან წლებში იქონია გარკვეული გავლენა იერუსალიმის სამეფოს ემბლემატიკაზე.

საფიქრებელია, რომ სწორედ ბიზანტიურ მემკვიდრეობას მიუძღვის დიდი წვლილი ხუთჯვრიანი სიმბოლოს ჩამოყალიბებაში. მათი გავლენით დამკვიდრდა ხუთფიგურიანი კომპოზიცია ევროპულ ნუმიზმატიკასა და ჰერალდიკაში და, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე დამკვიდრებულმა ტრადიციამ უბიძგა ჯვაროსნებს პატარა ჯვრებით მოერთოთ ცენტრალური ჯვარი, რამაც საბოლოოდ ხუთჯვრიან სიმბოლომდე მიგვიყვანა.



## **Jerusalem cross: Its History and Development**

The Jerusalem cross is comprised of four small equilateral yellow crosses positioned within the branches of a central cross. This arrangement is set against a white field, deliberately defying the fundamental rule of heraldry that prohibits the placement of metal on metal. This deliberate violation underscores its distinctiveness.

The adoption of the five-cross configuration, symbolizing Jerusalem, occurred relatively later. It is absent from the early phases of the Crusades and remained entirely unfamiliar in Palestine. Furthermore, the coins minted in the Kingdom of Jerusalem do not showcase the presence of the five crosses.

By the mid-13th century, various iterations of the Jerusalem cross began to emerge. Its initial documented appearance dates back to 1228, on a sealed document associated with Gauthier IV (1205-46), count of Brienne. Gauthier's seal depicts the family lion on the obverse and the Jerusalem cross on the reverse, with the central cross surrounded by numerous smaller crosses.

The evolution of the Jerusalem cross is illustrated in the works of Matthew Paris. Within the *Historia Anglorum*, dated between 1250 and 1255/59, depictions of shields portraying events such as the passing of Godfrey of Bouillon (1100) and the accession of Baldwin I reveal a white cross on a yellow field. A similar shield is evident in depictions of the deaths of Fulk of Anjou (1142) and Henry of Champagne (1197). The passing of John of Brienne (1237) is also portrayed on a yellow shield featuring the same white cross. However, in a subsequent miniature illustrating the coats of arms of the five kings who took the cross, the shield of John of Brienne undergoes significant modification, with added silver crosses.

In subsequent armorials, the number of crosses decreases, taking on a more recognizable form. The Segar's Roll of 1285 showcases only five crosses on the coat of arms of the King of Jerusalem. In armorials of Bellenville and Gelre from the latter half of the 14th century, the coat of arms of the king of Cyprus presents five golden crosses on a silver shield, symbolizing Jerusalem.

At the same time, the Jerusalem cross appears on coins. In 1277, Charles I of Anjou (1266-85) was crowned King of Jerusalem, and to commemorate this occasion, he minted a gold coin featuring his new coat of arms on the reverse side, seamlessly blending the Jerusalem cross with the Angevin lilies.

The origin of this five-figure composition seems to be found in the Eastern Roman Empire. In the second half of the 11th century, the Bayeux Tapestry portrays a flag adorned with bezants embroidered in the cantons of the central cross. The cross with bezants motif is recurrent in numismatics across both continental Europe and the British Isles. The states that emerged following the fall of the Roman Empire minted coins imitating the weight standards and iconography found in Byzantine currency. The Merovingians, in imitation of Byzantium, inserted diverse letters and geometric

patterns into the corners of the cross depicted on their coins. The depiction of bezants within the arms of the cross can also be observed on Merovingian gold coins and silver denarii. This trend gained further traction in Carolingian Europe. On the reverse side of Carolingian coins, we occasionally encounter pellet within each of the four arms of the cross. Alternatively, crescents or eight pellets sometimes replace the traditional four, or two annulets are depicted instead.

The cross adorned with various images is well known in Eastern Christianity. After Christ's labarum brought victory to Constantine the Great in 312, the sign of the cross is often found on Byzantine flags and money. A cross decorated with four letter-marks or four figures (such as crosses, bezants, pellets, and stars) has been featured in Byzantine numismatics since the 6th century.

The cross with bezants was widely present within the Byzantine context, reaching into the domain of flags. Furthermore, it can be asserted that the cross with bezants evolved into a symbol representing the imperial authority. A Greek manuscript from the 11th century, preserved in the Vatican Library (Vat. gr. 752), portrays the flag on three occasions. In each case, the central cross is adorned with bezants, and in two instances, it accompanies the emperor.

The transformation of the five-figure geometric composition into the five-cross symbol is an intriguing evolution to consider.

From the works of Matthew Paris, it becomes evident that the shield of John of Brienne (featuring a silver cross on a gold shield) underwent a transformation, emerging as a silver cross on a gold background adorned with fourteen smaller crosses. This change likely resulted from the incorporation of the coats of arms of both Jerusalem and Constantinople, symbolizing John's role as the Emperor of Constantinople. The second Latin emperor of Constantinople, Henry of Flanders (1206-16), altered his coat of arms under the influence of local tradition. His red flag, attire, and helmet became adorned with numerous small gold crosses. Henry's seal also featured four small crosses in a circle (in bezants) within the quadrants of the central cross.

It appears that the Byzantine tradition, which was already reflected in the heraldry of the Latin emperors of Constantinople during the 10s of the 13th century, exerted a certain influence on the emblematics of the Kingdom of Jerusalem in the 20s.


It's conceivable that the Byzantine legacy played a significant role in shaping the five-cross symbol. Their influence established the five-figure composition within European numismatics and heraldry, and it seems that a tradition established at the royal court of Constantinople prompted the Crusaders to embellish the central cross with smaller crosses, which ultimately led to the formation of the five-cross symbol.

**‘ალი აღ-შარაფის შავი ზღვის პორტოლანი**

XVI საუკუნეში მუსლიმური კარტოგრაფია ხელახალი აღმავლობის გზას დაადგა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის იმპერიის აღზევებით და მისი ევროპასთან ურთიერთობით იყო გამოწვეული. იქნება ეს თუნისელი ‘ალი აღ-შარაფი თუ ოსმალეთის ფლოტის ადმირალი ფირი რეისი. აღმავლობა კი პირველ რიგში რუკების სიზუსტეში გამოიხატა, რომელიც შუა საუკუნეების ისლამური რუკებისგან განსხვავებით, მხოლოდ სიმბოლური, სქემატური აღარ იყო და ბევრად დეტალიზებული გახდა. ეს სიახლე მუსლიმურ სამყაროში დასავლეთ ევროპიდან გადაიღეს და მალევე იქნა ათვისებული.

‘ალი აღ-შარაფის ნამუშევარი წარმოადგენს ერთგვარ ატლასს, რომელშიც ზღვები ცალ-ცალკეა მოცემული. გვაქვს მისი ორი - 1551 და 1571 წლების - ვარიანტი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან და საქართველოსთან კონტექსტში რამდენიმე ფაქტია ჩვენთვის საყურადღებო. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეების არაბულ გეოგრაფიულ თხზულებებსა თუ რუკებზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ფაქტობრივად უგულვებელყოფილი ან შეცდომით დახასიათებული იყო. მაგალითად, ყველაზე გავრცელებული შეცდომა იყო ის, რომ იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც დასავლეთ საქართველო მდებარეობდა, ტრაპიზონის ჩრდილოეთით, უმეტესად აღ-ლანად მოიხსენიებდნენ. ასე იყო, მაგალითად, აღ-მუკადდასი აღ-ბაშარის რუკაზე (X ს.) და აღ-იდრისის რუკაზეც (XI ს.). შესაბამისად, ეს პორტოლანი, ფაქტობრივად პირველი შემთხვევაა, როდესაც არაბულ-მუსლიმურ გეოგრაფიულ რუკაზე დასავლეთ საქართველო სათანადოდ გამოჩნდა. ამას გარდა, შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებზე არსებულ ზოგიერთ ქალაქზე მიმაგრებულია დროშები, რაც დასავლეთ ევროპული რუკებისთვის იყო დამახასიათებელი.

მოხსენების მიზანია XVI საუკუნის ავტორის ‘ალი აღ-შარაფის შავი ზღვის პორტოლანის განხილვა და მისი შედარებითი ანალიზი ფირი რეისის თუ ზოგიერთ იმ ეპოქის თანამედროვე ევროპულ რუკასთან მიმართებაში; პორტოლანზე მოცემული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმების წაკითხვა და დაზუსტება შესაძლებლობის ფარგლებში. ასევე, აღნიშნული რუკა შეგვიძლია მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოში და ზოგადად შავი ზღვის არეალში ოსმალეთის იმპერიის ინტერესების ზრდის ერთ-ერთ ნიშნად.



### **‘Ali al-Sharafi’s Black Sea portolan**

In the 16th century, Muslim cartography once more began a resurgence, which was primarily caused by the rise of the Ottoman Empire and its relations with Europe. Be it the Tunisian ‘Ali al-Sharafi or the Ottoman fleet admiral Piri Reis. This resurgence was primarily expressed in the accuracy of the maps, which, unlike the Islamic maps before from the Middle Ages, were no longer only symbolic, and schematic, but became much more detailed. This innovation was adopted from Western Europe in the Muslim world and was soon used.

The work of ‘Ali al-Sharafi is a kind of atlas in which the seas are given separately. We have two versions of it - 1551 and 1571. In the context of the Eastern Black Sea coast and Georgia, there are several facts worth noting. First of all, the eastern Black Sea coast was actually neglected or wrongly characterized in medieval Arab geographical works and maps. For example, the most common mistake was that in the geographical area where West Georgia was located, north of Trabzon, it was mostly referred to as al-Lan. This was the case, for example, with al-Muqaddasi al-Bashari’s map (10th century) and on al-Idrisi’s map (11th century). Therefore, this portolan is actually one of the first times when West Georgia was properly shown on the Arab-Muslim geographical map. In addition, some cities on the northern and southern shores of the Black Sea have flags attached to them, which were characteristic of Western European maps.

The purpose of the report is to discuss the Black Sea portolan of the 16th author ‘Ali al-Sharafi and its comparative analysis in relation to Piri Reis and some contemporary European maps of that era; reading and clarify the toponymy of the eastern Black Sea coast given on Portolan within the scope of possibility. Also, we can consider the mentioned map as one of the signs of the growth of the interests of the Ottoman Empire in Western Georgia and the Black Sea area in general.